სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ზანის საჯარო სკოლაში უფროსკლასელმა მოსწავლეებმა გაიხსენეს დღევანდელი დღე! აღინიშნა; მოსწავლეები ციტირებდნენ:

√ **მიუხედავად იმისა, რომ დღეს საქართველოს ტერიტორიების 20%-მდე ოკუპირებულია და უკრაინაში საომარი მოქმედებებია,** ჩვენ უფლება არ გვაქვს არ გავიხსენოთ **9 მაისი** --- ფაშიზმზე გამარჯვების დღე!

√ რადგან 700 000-ზე მეტი ჯარისკაცი გაიწვიეს საქართველოდან. ბევრი საკუთარი ნებით ჩაება, რათა საკუთარი ვალი მოეხადა სამშობლოს წინაშე, მათი უმრავლესობა შინ ვერ დაბრუნდა.

√ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, **„ვისი გორისანი ვართ“!**

ჩვენ გვახსოვს ჩვენი გმირები, რადგან თითქმის ყველა ოჯახს შეეხო ომი. ბევრი ჩვენგანის ოჯახის წინაპარი შინ არ/ვერ დაბრუნდა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, მიუხედავად მშვიდობიანი გარემოსი, საქართველო დღესაც აწარმოებს ფარულ „ომს“ რუსეთთან...

√ **„დიდება, ხალხისთვის წამებულ რაინდებს,**

ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა...

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით...“

√ **სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა საქციელი და სახელი უკვდავია!**

√ შეუფასებელია მათი წვლილი მამულის დაცვა/განდიდების კუთხით, გადაჭარბებული არ იქნება. რადგან **სამშობლო - მამული** უხსოვარი დროიდან იყო ქართველისათვის ამოსავალი წერტილი.

√ საქართველოვ ტკივილო ჩემო...

საქართველოვ სამშობლოვ ჩვენო!“

√ დროის და ეპოქის მიუხედავად სამშობლოსადმი ერთგულების, სიყვარულის გამოხატვის და საგმირო საქმეების ჩადენის სურვილი ნებისმიერ საზოგადოებრივ ფენაში შესაშური საქმე და დაუმალავი ფაქტია! **სამშობლო - ჩვენი გულის ფეთქვაა!..**

... ...

...სისხლი, უფვთოდ დაქცეული, ატირებულ მტკვარს ერთვოდა,

ყველგან კვნესდა წაქცეული, ყველგან ცეცხლის ქარი ქროდა.

დედის მკერდზე თოთო ბავშვი ისარგაყრილ ძუძუს სწოვდა,

აქ ყველაფერს წვავდნენ, მაგრამ საქართველო არ იწვოდა...

დღეს კი, ჩემო საქართველოვ - საყვარელო ჩემო დედავ,

შენი დღენი ცისარტყელობს, შენს ფიმილში ვარდებს ვხედავ...

... დღეს წისლები გაგფანტვიან და ქარები ქრიან წებით,

შენს დროშაზე მზე სატია და დიდების გვირგვინები!...

ცხადია, ცხოვრებისეული „ლიგის“ თამასა საქართველომ უმაღლეს დონემდე აწია, როგორც ამბობენ: **ქვეყნის, ისევე როგორც „ადამიანის სტატუსს მეგობრები კი არა, მტრები განსაზღვრავენ!“**

პატივისცემით:

ზანის საჯარო სკოლის დირექტორი რ. კვაშილავა